

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №13

ქ. თბილისი

03.10.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International, სხდომის თავმჯდომარე;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე, სხდომის მდივანი;

მამია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის წარმომადგენლები

გიორგი კაჭახიძე;

იოსებ კაჭახიძე;

დავით ჯანელიძე.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მილენიუმ აკადემიის წარმომადგენლები:

ნანა ლომია - დირექტორი;

ირმა ლომია - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ლელა თვარაძე - იურისტი.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ წარმომადგენლები

რაინდი ლომია - დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ეკატერინე გიგაშვილი;

მამია დანელია;

შორენა ჯაფარიძე;

ნინო ფეტვიაშვილი;

ციური დურული;

დალი კალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჩაჩხიანმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მილენიუმ აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს შორენა ჯაფარიძემ და დალი კალაძემ. მათ განაცხადეს, რომ დაწესებულებას ავტორიზაციისათვის წარმოდგენილი ჰქონდათ პრაქტიკოსი ექთნის და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტებმა დააფიქსირეს ხარვეზები:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენდა 2 წელიწადს, რომელიც დაყოფილი იყო 4 სემესტრად. პროფესიულ სტუდენტს პირველ სემესტრში უნდა დაეგროვებინა 35 კრედიტი, მეორეში 40, მესამეში 35, ხოლო მეოთხეში 40 კრედიტი. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად თითოეული სემესტრი მოიცავდა 20 კვირას. შესაბამისად, სტუდენტის კვირეული დატვირთვა პირველ და მესამე სემესტრებში შეადგენდა -43.75 საათს, ხოლო მეორე და მეოთხე სემესტრებში -50 საათს, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს შრომის კანონმდებლობას;
- ორივე პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა იყო იდენტური და მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: აქტივობა-30 ქულა, შუალესური გამოცდა-30 ქულა, დასკვნითი გამოცდა-40 ქულა, ყველა სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა, მიუხედავად იმისა ითვალისწინებდა სილაბუსი თეორიულ ცოდნას თუ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ტესტები;
- სილაბუსებში წარმოდგენილი იყო სწავლების მრავალრიცხოვანი მეთოდები, თუმცა რიგ შემთხვევებში არ იყო სილაბუსის შინაარსის შესაბამისი, მაგ: საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სწავლების მეთოდებში მითითებული იყო: წიგნზე მუშაობა, წერიტი მუშაობა, სიტუაციური ამოცანები, როლური თამაშები;
- სილაბუსის თემატიკის ნაწილში არ იყო მითითებული შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების პერიოდი (კვირა) და თითოეულისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა;
- „პრაქტიკოს ექთნის“ მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის სილაბუსების ნაწილში (მაგ: „საექთნო საქმე 1-2“, „თერაპია, თერაპიული ავადმყოფის მოვლა“) სტუდენტის მიერ მისაღწევი შედეგების კვალიფიკაციის აღმწერის დონე შეესაბამებოდა მესამე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, ხოლო ფარმაცოლოგიის სილაბუსი შეესაბამებოდა შინაარსით სხვა პროგრამის პროფესიულ სტანდარტს, კერძოდ „ფარმაცევტის თანაშემწის“ სტანდარტს;
- ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება არ შეესაბამებოდა პროფესიულ სტანდარტში წარმოდგენილ დასახელებას. ვიზტის პერიოდში დირექტორის 2016 წლის 14 სექტემბრის № 72 ბრძანებით მოხდა ცვლილება და კვალიფიკაციის დასახელება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსების ძირითად ნაწილში საკონტაქტო საათები იყო თითქმის თანაბარი დამოუკიდებელი საათებისაგან, რაც ხელს არ შეუწყობდა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებას იჯარით ჰქონდა აღებული ფართი, რომელიც მდებარეობდა ქ. ქუთაისში: მ. დვალის ქუჩის № 13, ხელშეკრულება დადებული იყო 2016 წლის 11 აპრილს, 11 წლის ვადით. დაწესებულების მიერ იჯარით აღებული ფართი მოიცავდა სამ შენობას: 1. ორსართულიანი შენობა №1-1088,86 კვ.მ, 2. ორსართულიანი შენობა №2-302,6 კვ.მ, 3. ერთსართულიანი შენობა №3-812,48 კვ.მ. საერთო ფართის შეადგენდა - 2203,94 კვ.მ. აღსანიშნავი იყო, რომ „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის სილაბუსების პრაქტიკული ნაწილის განხორციელებისათვის საჭირო სათანადო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა, მითითებულ ფართზე არ ფიქსირდებოდა. რაც შეეხებოდა „პრაქტიკოსი ექთნის“ პროგრამას, დაწესებულებას ჰქონდა პულსოქსიმენტი, ზედა კიდურის მულიაჟი, ასევე ზოგ სასწავლო აუდიტორიაში გამოკრული იყო პლაკატები. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას 5 წლის ვადით გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს ქუთაისის დ. ნაზარაშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი; შპს ლერი ხონელიძის სახელობის კლინიკა; ქუთაისის წმ. დავით აღმაშენებლის ქსენონი და სხვა. მემორანდუმებში მითითებული არ იყო თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის გავლა იქნებოდა განხორციელებული აღნიშნულ პრაქტიკულ ობიექტებზე;
- შენობა №2 -ის პირველ სართულზე მდებარე სამ ოთახს ჰქონდა მეორადი განათება, ვინაიდან ნათდებოდა დერეფნიდან. ასევე შენობა №2 და №3 -ის შიგნით არ იყო სველი წერტილები, ისინი გატანილი იყო გარეთ და ემიჯნებოდნენ შენობა №3;
- ორსართულიან შენობა 2-ის ასასვლელ კიბეზე არ იყო პანდუსები, დაწესებულების რექტორის განმარტებით შენობა 2-ის მეორე სართულზე სსსმ პირთათვის მეცადინეობები არ იყო გათვალისწინებული. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გამოცემულ იქნა რექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის №71 ბრძანება, რომლის შესაბამისად დაწესებულების შენობა 2-ის მეორე სართულზე სსსმ პირთათვის მეცადინეობა არ ჩატარდებოდა;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განვითარების გრძელვადიან (ექსპლიანტი) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში არ იყო მითითებული რომელ წლებს შეეხებოდა გეგმები და მათში წარმოდგენილი ღონისძიებები. არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები, ინდიკატორები. ვიზიტის პერიოდში რექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის №70 ბრძანების საფუძველზე გეგმებში შეტანილ იქნა ცვლილებები და მიეთითა წლები.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები, სამუშაოზე აყვანისას წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, პერსონალის შერჩევის წესი. მხოლოდ ვებ-გვერდზე იყო მითითებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თანამშრომელთა მიღება მოხდებოდა გასაუბრების საფუძველზე. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების და მათთან დადებული ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად ირკვეოდა, რომ პერსონალის შერჩევა ხორციელდებოდა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, მაგრამ ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული კონკრეტულად რომელი საგნის სწავლების განხორციელება ევალებოდა პროფესიულ მასწავლებელს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა სხდომაზე წარმოადგინა რეკომენდაციებთან დაკავშირებით საპასუხო წერილი :



შენიშვნა 1.

პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენდა 2 წელს, რომელიც 4 სემესტრად იყო დაყოფილი. პროფესიულმა სტუდენტმა 1 სემესტრში უნდა დაეგროვებინა 35 კრედიტი, მეორეში - 40 კრედიტი, მესამეში -35, ხოლო მეოთხეში - 40 კრედიტი. შპს ქუთაისის სამედიცინო სამედიცინო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 3. პუნქტი 3.3.შესაბამისად თითოეული სემესტრი მოიცავდა 20 კვირას, შესაბამისად, სტუდენტის კვირეული დატვირთვა პირველ და მესამე სემესტრებში შეადგენდა 43,75 საათს, ხოლო მეორე და მეოთხე სემესტრებში - 50 საათს, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს შრომის კანონმდებლობას.

პასუხი 1.

აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ (ვებ-გვერდზე- <http://www.kms.edu.ge/pdf/prof.debuleba.pdf>) მითითებული - მუხლი 3, პუნქტი 3.3.-ის ფორმულირება არასრული ფორმით ჰქონდათ წარმოდგენილი (ვიმედოვნებით, რომ ვერ შეამჩნიეს!). აღნიშნული პუნქტის სრული ფორმულირება გახლდათ შემდეგი:

3.3. შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლაში“ სასწავლო წელი ზოგადად იყო ორსემესტრიანი (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვევის). სემესტრი მოიცავდა 20 კვირას.

პრაქტიკები: სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა შეიძლებოდა განხორციელებულიყო, როგორც ძირითადი სასწავლო კალენდარის განმავლობაში, ასევე მისთვის გამოყენებული ყოფილიყო დამატებითი დრო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

დასაშვები იყო ცვლილებები სასურველი შედეგების მისაღწევად.

ამავე დებულებაში მუხლი 3. პუნქტი 3.4. (რაც ასევე სავარაუდოდ ვერ დააფიქსირეს ექსპერტთა ჯგუფმა!) გვამცნობდა: 3.4. ადმინისტრაცია უფლებამოსილი იყო განესაზღვრა სააუდიტორიო მუშაობისათვის ან პრაქტიკის გასავლელად კვირათა განსხვავებული რაოდენობა. აღნიშნული დებულება წარმოდგენილი იყო საავტორიზაციო განაცხადის გაკეთებისას დოკუმენტების პაკეტში და ვებ-გვერდზე (<http://www.kms.edu.ge/pdf/prof.debuleba.pdf>), შესაბამისად ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ წინასწარ, ვიზიტამდე დაწვრილებით შეესწავლათ ეს საკითხი; იგივე ინფორმაცია საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ასევე დაფიქსირებული იყო „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში“, რომლის ელ.ვერსია

განთავსებული იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე (<http://www.kms.edu.ge/pdf/katalogi.pdf>); აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანაწერი „სემესტრი მოიცავდა 20 კვირას“ ვერ ჩაითვლებოდა ერთადერთი აპელირების საშუალებად, ვინაიდან ამ დებულების შესაბამისად ადმინისტრაცია უფლებამოსილი იყო პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე შეეცვალა კვირათა რაოდენობა. აღნიშნული დებულება ზოგადად არეგულირებდა „შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში“ როგორც არსებულ, ისე მომავალში სავარაუდო განსახორციელებელ პროგრამებს, შესაბამისად ზემოთ აღნიშნული ჩანაწერი ეხებოდა ყველა სხვა დანარჩენს, თუმცა ამავე დებულებით დასაშვები იყო გამონაკლისებიც.

პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა სავარაუდო აპლიკანტთა, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნები და საჭიროებები, ასევე მათი მოსალოდნელი ფინანსური დანახარჯები და პროგრამის ხელმძღვანელთან და დაწესებულების ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა პროფესიული სტანდარტის შესაბამისად იყო 150 კრედიტი (3750 სთ), გაიწერა 2 წელზე (სულ $3750 : 40 = 93,75$ სასწავლო კვირა, წელიწადში 46,87 კვირა), მით უმეტეს, რომ პროფესიული განათლების მარეგულირებელი არცერთი დოკუმენტი არ ზღუდავდა აღნიშნულ უფლებას, რაც ასევე სრულ შესაბამისობაში იყო შიდა რეგულაციასთან.

ვიზიტის მიმდინარეობის დროს ექსპერტებს არ მოუთხოვიათ სასწავლო გრაფიკი და ცხრილი (დანართი 2), სემესტრების ხანგრძლივობა აღნიშნულ პროგრამაზე პირველ და მესამე სემესტრებში იყო 22 კვირა, ხოლო მეორე და მეოთხე სემესტრებში -25 კვირა; აღნიშნულ ფაქტს ადასტურებდა წარმოდგენილი სასწავლო გრაფიკი და ცხრილი (იხ.დანართი N2), რომელიც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მტკიცდებოდა ყოველი სემესტრის დასაწყისში (პრაქტიკოსი ექთნის

მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 372 06.09. 2012 წელი, მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია, შენიშვნების გარეშე, მედიცინის დარგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე და წარმატებით ხორციელდებოდა წლების მანძილზე). (დანართი N3 ვებ-გვერდი <http://www.kms.edu.ge/pdf/pe.pdf>) აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მიერ მითითებული კვირეული დატვირთვა პროფესიული სტუდენტისთვის პირველ და მესამე სემესტრში არსებული რეალობის შესაბამისად იყო 39,77 საათი. და არა 43,75 საათი, ხოლო მეორე და მეოთხე სემესტრებში - 40 საათი. და არა 50 საათი.

საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად - მუხლი 14, პუნქტი 1. - „დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებდა სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, სამუშაო დროში არ ითვლებოდა შესვენების დრო და დასვენების დრო.

პუნქტი 3. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს. აღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან ზრდასრული ადამიანის (18 წელს მიღწეული და ზემოთ!) დატვირთვა 40 საათს მოიცავდა, ხოლო წარმოდგენილ პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამაზე დაიშვებოდა სრული ზოგადი განათლების მქონე აპლიკანტი, რომელიც უკვე 18 წელს იყო მიღწეული, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმებს. მით უმეტეს, რომ პროფესიული განათლების მარეგულირებელი არცერთი დოკუმენტი, მათ შორის არც პროფესიული სტანდარტი, არც კანონი პროფესიული განათლების შესახებ, არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №121/ნ - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ - რაიმე სხვა დამატებით კონკრეტულ ნორმებს არ განსაზღვრავდა. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შენიშვნა 1. არ ასახავდა რეალობას. შენიშვნა 2. ორივე პროგრამის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა იყო იდენტური, და მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: აქტივობა-30 ქულა, შუალედური გამოცდა-30 ქულა, დასკვნითი გამოცდა-40 ქულა. ყველა სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა, მიუხედავად იმისა ითვალისწინებდა სილაბუსში თეორიული ცოდნის თუ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენებოდა ტესტები. პასუხი 2. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შეფასების ერთიანი კრიტერიუმები, თუმცა ისინი განსხვავებული იყო თეორიული და პრაქტიკული კურსებისათვის. თეორიული კურსების შეფასების კომპონენტები იყო: აქტივობა-30 ქულა, შუალედური გამოცდა-30 ქულა, დასკვნითი გამოცდა-40 ქულა.

აქტივობა მოიცავდა სამუშაო ჯგუფში პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებულ ქმედებებს (აქტივობის ფორმები: კითხვაზე პასუხი, დისკუსიაში მონაწილეობა, პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობა, ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება, დემონსტრირება და სხვ.) და უტოლდება - 2 ქულას.

2 ქულა - აქტიური იყო მეცადინეობის დროს/ჯგუფური მუშაობის დროს, ავლენდა მიმდინარე საკითხის მნიშვნელოვან ცოდნას, სრულად პასუხობდა კითხვებს, შეეძლო პრობლემის გადაჭრა;

1 ქულა - იყო ნაკლებად აქტიური მეცადინეობის დროს/ჯგუფური მუშაობის დროს, ვერ ავლენდა მიმდინარე საკითხის მნიშვნელოვან ცოდნას, ნაწილობრივ პასუხობდა კითხვებს, პრობლემის გადაჭრისთვის საჭიროებდა დამატებით ცოდნას;

0 ქულა - ის არ იყო აქტიური ჯგუფური მუშაობის დროს, ვერ ავლენდა მიმდინარე საკითხის ცოდნას, ვერ პასუხობდა კითხვებს, არ შეეძლო პრობლემის გადაჭრა;

შუალედური გამოცდა -30 ქულა ტარდებოდა წერიითი ფორმით (ტესტი - 30, თითოეული სწორი პასუხი - 1 ქულა).

დასკვნითი გამოცდა-40 ქულა. ტარდებოდა წერიითი ფორმით (ტესტი - 40; თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდებოდა საგამოცდო ცენტრში;

რაც შეეხებოდა საწარმოო პრაქტიკებს, სილაბუსებში წარმოდგენილი იყო განსხვავებული შეფასების სისტემა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა რატომღაც არ აფიქსირებდა აღნიშნული სილაბუსები საავტორიზაციო განაცხადს თან ახლდა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დარწმუნდეს მოცემული ინფორმაციის სისწორეში, მაგალითად დანართი N4 „ანატ.პათ.ფიზ. 2“ და დანართი N5 „საწ. პრ. საექთნო საქმე 2“.

საწარმოო პრაქტიკის შეფასებისათვის გამოყენებული იქნებოდა შემდეგი კრიტერიუმები:
დასწრება -10 ქულა.

აქტივობა პრაქტიკის განმავლობაში (აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას და შესრულებული სამუშაოს დემონსტრირება, დისკუსია - დებატებში მონაწილეობა, ტესტებისა და სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა) (30 ქულა) თითოეულ მეცადინეობაზე აქტიურობა ფასდებოდა - 2 ქულით (სიტუაციის ანალიზი, მასალის მოძიება, პროცესში მონაწილეობა - 1 ქულა, ნანახისა და აღქმულის ანალიზი, მსჯელობისა და პრეზენტაციის უნარი - 1 ქულა).

პრაქტიკული უნარ-ჩვევების შუალედური შეფასება (პრაქტიკული დავალების შესრულება) - მაქსიმალური 20 ქულა:

- თემატიკის /დავალების შესაბამისად სრულად, ხარვეზისა და გადაცდომის გარეშეასრულებდა ტექნიკურად/ აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე 15-20 ქულა;
- თემატიკის/დავალების შესაბამისად მცირე გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე არ ახდენდა გავლენას 10-15 ქულა;
- თემატიკის/დავალების შესაბამისად მცირე ხარვეზებით და გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე დაბალი ხარისხით აისახებოდა 5-10 ქულა;
- თემატიკის/დავალების შესაბამისად არსებითი ხარვეზებით და გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა შედეგი/ან დგებოდა მინიმალური შედეგი 0-5

პრაქტიკული უნარ ჩვევების დასკვნითი გამოცდის (პრაქტიკის ჩათვლის) შეფასება - მაქსიმალური 40 ქულა, რომელიც ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

-პრაქტიკის დღიურების გაფორმება - მაქსიმალური 20 ქულა

- თემატიკის /დავალების შესაბამისად თანმიმდევრულად გადაცდომის გარეშე, აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე 15-20 ქულა;
- თემატიკის შესაბამისად მცირე გადაცდომებით აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე არ ახდენდა გავლენას 10-15 ქულა;
- თემატიკის შესაბამისად მცირე ხარვეზებით და გადაცდომებით აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე დაბალი ხარისხით აისახებოდა 6-10 ქულა;
- თემატიკის შესაბამისად ხარვეზებით და გადაცდომებით აყალიბებდა, ცუდად გადმოსცემდა და ვერ მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა ზუსტი შედეგი - 1-5 ქულა;
- თემატიკის შესაბამისად არსებითი ხარვეზებით და გადაცდომებით აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა შედეგი -0 ქულა.

პრაქტიკული დავალების შესრულება - მაქსიმალური 20 ქულა:

- თემატიკის /დავალების შესაბამისად სრულად, ხარვეზისა და გადაცდომის გარეშე ასრულებდა ტექნიკურად/გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე 15-20 ქულა;
 - თემატიკის შესაბამისად მცირე გადაცდომებით აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე არ ახდენდა გავლენას 10-15 ქულა;
 - თემატიკის შესაბამისად მცირე ხარვეზებით და გადაცდომებით აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე დაბალი ხარისხით აისახებოდა 6-10 ქულა;
 - თემატიკის შესაბამისად ხარვეზებით და გადაცდომებით აყალიბებდა, ცუდად გადმოსცემდა და ვერ მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა ზუსტი შედეგი - 1-5 ქულა;
 - თემატიკის შესაბამისად არსებითი ხარვეზებით და გადაცდომებით აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა შედეგი -0 ქულა.
- პრაქტიკული დავალების შესრულება - მაქსიმალური 20 ქულა:
- თემატიკის /დავალების შესაბამისად სრულად, ხარვეზისა და გადაცდომის გარეშე ასრულებდა ტექნიკურად/გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე 15-20 ქულა;
 - თემატიკის/დავალების შესაბამისად მცირე გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე არ ახდენდა გავლენას 10-15 ქულა;

5. ხ.ხ.ხ.ხ. 7

- თემატიკის/დავალების შესაბამისად მცირე ხარვეზებით და გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რომელიც ერთიან შედეგზე დაბალი ხარისხით აისახებოდა 6-10 ქულა;
- თემატიკის/დავალების შესაბამისად ხარვეზებით და გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, ცუდად გადმოსცემდა და ვერ მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა ზუსტი შედეგი - 1-5 ქულა;
- თემატიკის/დავალების შესაბამისად არსებითი ხარვეზებით და გადაცდომებით ასრულებდა ტექნიკურად/აყალიბებდა, გადმოსცემდა და მსჯელობდა მოცემულ მასალაზე, რის გამოც ვერ დგებოდა შედეგი - 0 ქულა

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის ჩანაწერი, რომ „მიუხედავად იმისა ითვალისწინებდა სილაბუსში თეორიული ცოდნის თუ პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებას, შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენებოდა ტესტები“ რეალობას ნამდვილად არ შეესაბამებოდა, ვინაიდან აქტივობა, პრაქტიკული უნარების შეფასება, დღიურის წარმოება ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილები იყო, როგორც შუალედური და დასკვნითი გამოცდა და აღნიშნული კომპონენტების ერთობლიობით, ნამდვილად შესაძლებელი იყო როგორც თეორიული ცოდნის ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობის დადასტურება.

შენიშვნა 3. სილაბუსში წარმოდგენილი იყო სწავლების მრავალრიცხოვანი მეთოდები, თუმცა რიგ შემთხვევებში არ იყო სილაბუსის შინაარსის შესაბამისი, მაგალითად საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სწავლების მეთოდებში მითითებული იყო: წიგნზე მუშაობა, წერიტი მუშაობა, სიტუაციური ამოცანები, როლური თამაშები.

პასუხი 3. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სწავლების მეთოდებში ნამდვილად იყო მითითებული: წიგნზე მუშაობა, წერიტი მუშაობა, სიტუაციური ამოცანები, როლური თამაშები. მაგრამ აღნიშნულ ნაწილშიც ექსპერტებს ვერ დაეთანხმებოდნენ, რომ აღნიშნული სწავლების მეთოდები არ შეესაბამებოდა კურსის შინაარსს, ვინაიდან:

- საწარმოო პრაქტიკის სავალდებულო ნაწილი იყო დღიურის წარმოება, შესაბამისად წერიტი მუშაობა მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს, რომ პრაქტიკოსი ექთნისთვის სამედიცინო ჩანაწერების წარმოება აუცილებელი იყო;
- „საქართველოს კანონით პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ“ - მუხლი 26, პუნქტი 1. პაციენტის ინფორმირებული თანხმობა აუცილებელი იყო მისი სწავლების ობიექტად გამოყენებისათვის. ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვოდა პაციენტის სწავლების ობიექტად გამოყენებას. 2. ქმედუნარო პაციენტის სწავლების ობიექტად გამოყენების საკითხებს არეგულირებდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი-შესაბამისად პროფესიული სტუდენტი ყოველთვის ვერ შეძლებდა პაციენტთან ურთიერთობას და რიგ შემთხვევებში მანიპულაციების შესწავლა პროფესიულ სტუდენტს მულაჟზე მოუწევდა, შესაბამისად როლური თამაში და სიტუაციური ამოცანები უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო მისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების, პაციენტთან ურთიერთობის, ანამნეზის შეკრებისას ეთიკის ნორმების დაცვისა და სხვა უნარების გამოუმუშავების მიზნით.

შენიშვნა 4. სილაბუსების თემატიკის ნაწილში არ იყო მითითებული შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების პერიოდი (კვირა) და თითოეულისთვის განკუთვლილი საათების რაოდენობა. პასუხი 4. ყველა სილაბუსში კრედიტების რაოდენობის ნაწილში განსაზღვრული იყო შესაბამისი საათობრივი დატვირთვა, სადაც ეწერა, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის განკუთვნილი იყო საკონტაქტო 3 სთ, რაც შეეხებოდა ჩატარების პერიოდს, ვინაიდან პროგრამები სხვადასხვა სტრუქტურით იყო წარმოდგენილი და კურსების სწავლების ხანგრძლივობა არ იყო იდენტური, ყოველ სემესტრში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების პერიოდები მტკიცდებოდა რექტორის ინდივიდუალური აქტით, არსებული სასწავლო გრაფიკისა და ცხრილის საფუძველზე (დანართი N2) და რაც მთავარია პროფესიული განათლების არცერთი მარეგულირებელი დოკუმენტი არ ითხოვდა სილაბუსების თემატიკის ნაწილში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების პერიოდების მითითებას, მთავარი იყო აღნიშნული პერიოდები ყოფილიყო საჯარო და შესაბამისი ინფორმაცია ლოგიკურ ვადებში ხელმისაწვდომი, აღნიშნული კი უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. (ვებ-გვერდზე პროფესიული სტუდენტის განყოფილებაში იყო ლინკი „ცხრილი“)

 8

შენიშვნა 5. „პრაქტიკოსი ექთნის“ მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამის სილაბუსების ნაწილში (მაგალითად, „საექთნო საქმე 1-2“, „თერაპიული ავადმყოფის მოვლა“) სტუდენტის მიერ მისაღწევი შედეგების კვალიფიკაციის აღმწერის დონე შეესაბამებოდა მესამე საფეხურის კვალიფიკაციას აღმწერს, ხოლო ფარმაცოლოგიის სილაბუსი შეესაბამებოდა შინაარსით სხვა პროგრამის პროფესიულ სტანდარტს, კერძოდ „ფარმაცევტის თანაშემწის“ სტანდარტს. პასუხი 5. აღნიშნულ შემთხვევაში ფრიად ბუნდოვანი იყო რას ნიშნავდა ჩანაწერი - „სილაბუსების ნაწილში (მაგალითად, „საექთნო საქმე 1-2“, „თერაპიული ავადმყოფის მოვლა“) სტუდენტის მიერ მისაღწევი შედეგების კვალიფიკაციის აღმწერის დონე შეესაბამებოდა მესამე საფეხურის კვალიფიკაციას აღმწერს“ - კვალიფიკაციის აღმწერის დონე ერთი, ორი ან თუნდაც 4 სილაბუსით როგორ უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში კვალიფიკაციის აღმწერის დონესთან, ან რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი?! „საექთნო საქმის“ სწავლის შედეგები იყო:

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ პროფესიულ სტუდენტს უნდა სცოდნოდა:

ცოდნა და გაცნობიერება:

- წამლის შეყვანის გზები. შედარებითი დახასიათება.
- ინექციების ჩატარების ტექნიკა;
- ავადმყოფის მომზადების ტექნოლოგია ოპერაციისთვის;
- პაციენტის გამოკვლევის მეთოდები;
- სინჯების აღების ტექნოლოგია;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- შეეძლია დაავადების მიმდინარეობის და სპეციფიკის, ასევე ასაკის გათვალისწინებით პაციენტის მოვლის განხორციელება (ინექციების გაკეთება, თერმომეტრია, ზონდირება, კუჭის ამორეცხვა);
- პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში;
- შეეძლია მასალების სტერილიზაცია;
- შეეძლია დაავადების პროფილაქტიკის ხელშეწყობა;

თერაპია, თერაპიული ავად.მოვლის სწავლის შედეგები იყო:

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ პროფესიულმა სტუდენტს უნდა სცოდნოდა:

ცოდნა და გაცნობიერება:

- თერაპიული ავადმყოფის მოვლის თავისებურებანი სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობების დროს.
- თერაპიული ავადმყოფის ჰიგიენა და კვება.
- მედიკამენტების შეყვანის გზები;
- აირგამომყვანი მილის გამოყენების ტექნიკა;
- ოყნა, სახეები; კუჭის ამორეცხვის ტექნიკა;
- ხელოვნური სუნთქვა და გულის არაპირდაპირი მასაჟი.
- ავადმყოფის მოვლა გულ-სისძარღვთა დაავადებების, სასუნთქი ორგანოების ფუნქციური მოშლის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადების, მოვლა შარდის გამომყოფი ორგანოთა ფუნქციის მოშლის დროს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

შეეძლია დაავადების მიმდინარეობის და სპეციფიკის გათვალისწინება და შესაბამისი მოვლის განხორციელება; პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში;

დასკვნის უნარი:

შეეძლია არსებული მონაცემების საფუძველზე თავად განესაზღვრა მოქმედების ტაქტიკა.

- რომელი კვალიფიკაციით აღმწერით შეეძლია მესამე საფეხურის კვალიფიკაციას თავად მიეღოს გადაწყვეტილება არსებული მონაცემების საფუძველზე?
- ან რატომ არ უნდა სცოდნოდა პრაქტიკოს ექთანს პაციენტის ჰიგიენისა და კვების ნორმები, პაციენტთა მოვლა/ტრიაჟი. პათოლოგიის შემთხვევაში შარდსაწვეთის ჩადგმა, სარეანიმაციო

შემთხვევებში კუჭის ამორეცხვა. პრაქტიკოსი ექთნის პირდაპირი მოვალეობა და შესაბამისი პროფესიის ფილოსოფია გახლდათ „მოვლა“;

- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით, პროფესიული განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;

გ) დასკვნის უნარი – განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი;

დ) კომუნიკაციის უნარი – ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება;

ე) სწავლის უნარი – წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება;

ვ) ღირებულებები – განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედება.

ექსპერტთა შენიშვნა მოიცავდა ჩანაწერს: „ფარმაცოლოგიის სილაბუსი შეესაბამებოდა შინაარსით სხვა პროგრამის პროფესიულ სტანდარტს, კერძოდ „ფარმაცევტის თანაშემწის“ სტანდარტს

„პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიული სტანდარტით 090552, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება განსაზღვრული იყო: მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით;

„ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიული სტანდარტით 090351, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება – განსაზღვრული იყო „ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; ცოდნა და გაცნობიერება – იცოდა ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის – საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი; თუ აღნიშნული პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს შეადარებდნენ და შემდეგ ფარმაცოლოგიის სილაბუსებს (დანართი N6 „ფარმაკ.1“ და დანართი N7 „ფარმაკ.2“), სადაც კურსის შინაარსი მოიცავდა ფარმაცოკინეტიკისა და ფარმაცოდინამიკის საკითხებს, ასევე კონკრეტულ სისტემებზე მოქმედ საშუალებებს, მათ გამოყენებას, რეცეპტში პრეპარატების გამოწერის თავისებურებებს (მართალია ეს მათი ფუნქცია არ იყო, თუმცა ვალდებულნი იყვნენ შეეფასებინათ რეცეპტის გამოწერისა და პრ-ის დოზირების სისწორე!), რთული დასადგენი არ იყო რომელ პროფესიულ სტანდარტს უფრო შეესაბამებოდა ფარმაცოლოგიის სილაბუსები, ვისი მოვალეობა იყო „სამკურნალწამლო საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება“, ხოლო დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის პროფესიულ სტუდენტს უნდა ჰქონოდა შესაბამისი ცოდნა და უნარები, რასაც წარმოდგენილი ფარმაცოლოგიის კურსი ნამდვილად უზრუნველყოფდა. ფარმაცოლოგიის სილაბუსების სწავლის შედეგებით გაწერილი იყო გაცილებით მეტი თემატიკა და სწავლის შედეგები, ვიდრე მოეთხოვებოდა სტანდარტით, თუმცა აღნიშნული ფაქტი პროგრამას გაცილებით ინდივიდუალურს და ძლიერს ხდიდა და არა პირიქით.

შენიშვნა 7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსების ძირითად ნაწილში საკონტაქტო საათები თითქმის თანაბარი იყო დამოუკიდებელი საათებისა, რაც ხელს არ შეუწყობდა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პასუხი 7. სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები განსხვავებული იყო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგ, ანატომიაში, სადაც მულაჟებთან, ჩონჩხთან, ატლასთან მუშაობა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევად საკონტაქტო საათები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უცხო ენებში, ვინაიდან აღნიშნულ

შემთხვევაში სწავლის შედეგების მისაღწევად გაცილებით მეტი დამოუკიდებელი მუშაობა სჭირდებოდა პროფესიულ სტუდენტს. საათების გადანაწილების პრინციპი გამომდინარეობდა კურსის სპეციფიკიდან, შინაარსიდან, მისაღწევი სწავლის შედეგებიდან. აღნიშნულ ნაწილშიც რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტით საათების გადანაწილების პრინციპი განსაზღვრული არ იყო, შესაბამისად აღნიშნულ წარმოდგენდა კურსის განმახორციელებლისა და პროგრამის მენეჯმენტის ჯგუფის ერთობლივ პრეროგატივას

ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის სილაბუსების პრაქტიკული ნაწილის განხორციელებისათვის საჭირო სათანადო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა აღნიშნულ ფართზე არ იყო, რაც შეეხება „პრაქტიკოს ექთნის“ პროგრამას, იყო - პულსოქსომეტრი, ზედა კიდურის მულაჟი (გამოიყენება ჭრილობების დამუშავებისათვის) ასევე ზოგ სასწავლო აუდიტორიაში გამოკრული იყო პლაკატები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები, სათანადო აღჭურვილობის მქონე დაწესებულებებთან, მაგ. შპს ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საკონტროლო ანალიზური სააფთიაქო ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც მიმდინარეობდა „ფარმაცევტის თანაშემწის“ რიგი სასწავლო კურსების (როგორც პრაქტიკული მეცადინეობების, ასევე საწარმოო პრაქტიკის - მაგ. ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმია, წამალთა ტექნოლოგია და ა.შ.) განხორციელება, ამასთანავე განმახორციელებელი პერსონალი იყო ამავე ლაბორატორიის თანამშრომლები, რომელთა წარმომადგენლებს ექსპერტები ვიზიტი დროს გაესაუბრნენ და მიიღეს შესაბამისი დადასტურება. (იგივე: შპს „ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფო“) ასევე მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობდა აფთიაქის ბაზაზე, სადაც ასევე მოწყობილი იყო „ვირტუალური აფთიაქი“ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. ასევე მემორანდუმში არსებობდა, კორპორაცია ევექსის „ ქუთაისის ტრენინგ ცენტრთან“, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე მულაჟებით, სადაც შესაძლებელი იყო ნებისმიერი მანიპულაციის შესწავლა. (სამწუხაროდ ექსპერტებმა არ ჩათვალეს საჭიროთ შემოთარბნული ბაზის ნახვა, რომელიც საქართველოში ერთადერთი საერთაშორისო სტანდარტის საექთნო სასწავლო ცენტრია. სხვა თეორიულ სასწავლო კურსებს, რაც შეეხებოდა (მაგ. ანატომია, ფიზიოლოგია და ა.შ) ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტ-რესურსები და შესაბამისი ანატომიური თეატრის 3D ფორმატში, სლაიდების, სქემების ჩვენება შესაძლებელი იყო მეცადინეობის მსვლელობისას პირდაპირ ინტერნეტიდან...ამასთანავე შესაბამისი თვალსაჩინო მასალა ჰქონდა კურსის განმახორციელებელ პედაგოგს.

ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ მემორანდუმებში არ იყო მითითებული რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის გავლა იქნებოდა შესაძლებელი აღნიშნული პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მემორანდუმების გაფორმებული ისეთ დაწესებულებებთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო უმეტესწილად ორივე საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის და პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელება: მაგ. შპს ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საკონტროლო ანალიზური სააფთიაქო ლაბორატორია. თუმცა არსებობდა გარკვეული სპეციფიკის დაწესებულებები, მაგ: საცალო აფთიაქი, საკონტროლო-ანალიზური სააფთიაქო ლაბორატორია, სადაც ცხადი იყო საწარმოო პრაქტიკას გადიოდა „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ შენობა #2 - პირველ სართულზე მდებარე 3 ოთახს ჰქონდა მეორადი განათება, ვინაიდან დერეფნიდან ნათდებოდა. ასევე შენობა #2 და შენობა #3 შიგნით სველი წერტილები არ იყო, სველი წერტილები გატანილი იყო გარეთ და ემიჯნებოდა შენობა 3-ს. სტანდარტი დარღვეული არ იყო, რადგან არცერთი დოკუმენტით არ იყო განსაზღვრული, რომ არ შეიძლებოდა სველი წერტილი გატანილ ყოფილიყო შენობის გარეთ, ჩაკეთილ ეზოში, მით უმეტეს თუ ის ემიჯნებოდა სასწავლო კორპუსს...მით უმეტეს გასათვალისწინებელი იყო შენობების მდებარეობა.

ორსართულიანი შენობა 2-ის ასასვლელ კიბეზე პანდუსი არ იყო. დაწესებულების რექტორის განმარტებით შენობა 2-ის მეორე სართულზე სსსმ პირთათვის მეცადინეობები არ იქნებოდა გათვალისწინებული. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გამოცემული იქნა რექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის #71 ბრძანება, რომლის შესაბამისად დაწესებულების შენობა #2-ის მეორე სართულზე სსსმ

პირთათვის მეცადინეობა არ ჩატარდებოდა. დაწესებულება მოიცავდა 3 შენობას, მათგან 2-ში, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს პანდუსები იყო, რაც შეეხება მესამე შენობას, პირველ სართულზე სსსმ პირთა გადაადგილება შესაძლებელი იყო და სველი წერტილების შენობის გარეთ გატანაც მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით იყო გამოწვეული, რათა ორივე შენობიდან მათ შეეძლოთ ადაპტირებული სველი წერტილის გამოყენება.

ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიან) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში არ იყო მითითებული, რომელ წლებს შეეხებოდა გეგმების და მათში წარმოდგენილი ღონისძიებები; არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები. ვიზიტის პერიოდში რექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის #70 ბრძანების საფუძველზე გეგმებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ მითითებულ იქნა წლები;

აღნიშნული გეგმები დამტკიცებული იყო რექტორი ბრძანების 2016 წელს, შესაბამისად გრძელვადიან გეგმა მოიცავდა 2016-2022 და ერთწლიანი 2016-2017 წლებს, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციით აღნიშნული ფაქტიც დაფიქსირდა შესაბამისი ბრძანებით. რაც შეეხებოდა მას, რომ არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები, რომ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების ტემპების გათვალისწინებით პასუხისმგებელი პირებიც და ინდიკატორებიც შესაძლო იყო შეცვლილიყო შესაბამისად, ავტორიზაციის შემთხვევაში კონკრეტულად მოხდებოდა აღნიშნული პუნქტების დაზუსტებაც, მით უმეტეს, რომ ვერ მოიპოვეს რაიმე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ზუსტად, რომ სტრატეგიული გეგმას აუცილებლად რეჟიმში უნდა მოეცა აღნიშნულ პუნქტებს. ცხადია მათი შესრულება საჭირო დროს კონკრეტულ პირს დაევალებოდა რექტორის ადმინისტრაციული აქტით და იქვე განისაზღვრებოდა ინდიკატორებიც.

დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები, მათ მიერ სამუშაოზე აყვანისას წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, პერსონალის შერჩევის წესი გაწერილი არ იყო, მხოლოდ ვებგვერდზე იყო მითითება, რომ თანამშრომელთა მიღება მოხდებოდა გასაუბრების საფუძველზე, თუმცა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე შეიძლებოდა ჩათვლილიყო, რომ პერსონალის შერჩევა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით იყო განხორციელებული.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, პერსონალის შერჩევა ხდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად. გასაუბრებით, რაც შეეხებოდა მათ კვალიფიკაციას, როგორც წესი ძირითადი მოთხოვნებში განსაზღვრული იყო კანონით პროფესიული განათლების შესახებ.

თუმცა ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული კონკრეტულად რომელი საგნის განხორციელება ევალებოდა, პროფესიულ მასწავლებლებს. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად სავალდებულო იყო ხელშეკრულებებში მითითებული ყოფილიყო შესასრულებელი სამუშაო, შესაბამისად ხელშეკრულებებში მითითებული იყო, რომ პირი აყვანილი იყო პროფესიული მასწავლებლის თანამდებობაზე, რაც შეეხებოდა კონკრეტულად რომელი საგნის განხორციელება ევალებოდა განსაზღვრული იყო სილაბუსებით, რაც საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილი იყო და დამტკიცებული იყო რექტორის ბრძანებით.

ასევე სასწავლო პროცესის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცებისას კონკრეტული პირების ჩამონათვალი, შესაბამისად განსაზღვრული კურსების, კრედიტების და შესაბამისი საკონტაქტო საათების მითითებით მტკიცდებოდა რექტორის ადმინისტრაციული აქტით.

დაწესებულებას ცენტრში გადმოგზავნილი ჰქონდა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე არ უნახავს, სხდომის რეგლამენტიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო მომხდარიყო დამატებითი მასალის და საპასუხო წერილის ზედმიწევნით გაცნობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რომელიც გახლდათ დაწესებულების დირექტორის მოადგილე, იგი არ ეთანხმებოდა დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს და მიიჩნევდა რომ ზოგიერთი საკითხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო სათანადოდ დამუშავებული და შესწავლილი. ექსპერტების განცხადებით ვიზიტის პროცესში მათ უწევდათ თანამშრომლობა მხოლოდ კოლეჯის დირექტორთან და მის მოადგილეს ისინი არ შეხვედრიან. წარმოშობილი გაუგებრობის გამო, ვინაიდან დირექტორის მოადგილე არ გახლდათ ჩახედული უშუალოდ ვიზიტის პროცესის მიმდინარეობაში, დაისვა საკითხი მომდევნო სხდომისათვის ყოფილიყო გადადებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის საკითხის განხილვა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის მომდევნო სხდომაზე განხილვის საკითხი და დაწესებულებას მიმართა შეესწავლათ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და შეძლებისდაგვარად გამოეხატა მისი ხარვეზები როგორც მისი აზრით ხელს შეუწყობდა პროგრამების დახვეწას და ავტორიზაციის პროცედურის წარმატებით დასრულებას, ხოლო საბჭო მომდევნო სხდომისათვის დეტალურად გაეცნობოდა მათ მიერ გადმოგზავნილ დამატებით მასალას. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხის გადადებას.



2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მილენიუმ აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ციური დურულმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულება მოიპოვებდა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსს და განახორციელებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის მსვლელობის დროს არ დაფიქსირებულა არსებითი ხარვეზები, იყო მხოლოდ რამოდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ, რამოდენიმე მოდულში ტექნიკური მახასიათებლების ნაწილი არ იყო დაზუსტებული მაგ: უცხო ენა, მეწარმეობა და სხვ. თუმცა დაწესებულების მიერ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა. დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს და ხარვეზების გარეშე შეეძლო შედეგზე გასვლა. მატერიალური რესურსიდან გამომდინარე შესაძლებელი იყო 200 სტუდენტის მომსახურება, თითოეულ პროგრამაზე 50-50 სტუდენტი, 2 ცვლაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მილენიუმ აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მილენიუმ აკადემიას (ს/კ:400176518) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ეკატერინე გიგაშვილმა და მაია დანელიამ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მონიტორინგის განხორციელების მიზეზი გახლდათ დაწესებულების მიერ ფართის დამატება. კოლეჯი მდებარეობდა ქუთაისში, მაგრამ ჰქონდა სურვილი სწავლება განეხორციელებინა ქ.თბილისშიც, ბაქრადის ქ.№6-ში, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ხარვეზები არ ფიქსირდებოდა, თუმცა იყო რამოდენიმე საინტერესო დეტალი. კერძოდ: დაწესებულება საკუთრებაში ფლობდა ფართს შენობის მეორე და მესამე სართულზე, თუმცა სწავლების განხორციელებას ფიქრობდა მხოლოდ შენობის მეორე სართულზე, მეორე სართულზე არსებული ფართი 226.9 კვ.მ-ს საიდანაც 76.3 კვ.მ გამოიყენებოდა კოლეჯის ფუნქციონირებისათვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი გახლდათ საერთო სარგებლობაში სხვა მესაკუთრესთან. ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებას არ სურდა პროფესიული სტუდენტების ადგილების დამატება ვინაიდან ავტორიზაციით მათ განსაზღვრული ჰქონდათ 524 სტუდენტის ადგილი.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ არც ექსპერტებთან და არც დაწესებულების წარმომადგენელთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ (ს/კ:412683813) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

თავმჯდომარე
ნიკოლოზ ჩაჩხიანი

მდივანი
მამია ჯანჯალია

